

ბიზნეს სუბიექტები... 2014 (8)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის აგვისტოს თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 082 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.6% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.4% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.704 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. აგვისტოს თვეში კლება დაფიქსირდა როგორც წინა თვესთან (15.6%-ით), ისე წინა წლის იმავე თვესთან (15.4%-ით) შედარებით.

2014 წლის აგვისტოს თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 15.2%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 30.5%-ით შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 58.0%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 15.4%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.708 და 0.575 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. აგვისტოს თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 667 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 54.1%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 271 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 41.2%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.3% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 73 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 56 კოოპერატივი, 10 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 5 სააქციო საზოგადოება.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... აგვისტო, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა
აგვისტო, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	აგვისტო	
		2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3470	3009
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	174	73
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3644	3082
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	95.2	97.6
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	4.8	2.4
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-18.4	-15.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	11.5	-30.5
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-17.3	-15.6
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	24.0	-13.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	120.3	-58.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	26.7	-15.4
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.816	0.708
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	1.370	0.575
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.833	0.704
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2235	1667
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	2	0
კოოპერატივი	ერთეული	2	56
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1220	1271
სააქციო საზოგადოება	ერთეული	3	5
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	8	10
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	172	73
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	1	0
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	1	0

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵՎԵՐԻ ԻՃԹՈՆԹԻՎԱՊՈՐՏ ՄՅՈՆ ԸՆԾՆԱԾՎՆԱ... 2010-2014
ՆԵՏԻ ՀՌԲԵՎԵՐ ԵՆԹՈՒՄՆԵՐԻ (ԺԻՏԻՎՈՐ)

